

სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
 წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მოწირვებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწირვის დროს 4 მ., დანარჩენი კი დევნაწილად.

განცხადება:
 ჩვეულებრივი სტრუქტურის მქონე გვერდზე პეტიტით დრის კავისის გამოყენებით სხვა ადგილებზე კავისის გამოყენებით ბუნებრივად დასაბუთებული ფასი: სტრუქტურის პეტით ტექსტის წინ 80 კაპ., უკან 20 კაპ. გლობალურ განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ., 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კაბინეტი იმყოფება თბილისის ქ. 46. მიაქვიათ სსსრკ-ის.

№ 473

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი.

№ 473

იასონი, ნიკო, ისიდორე, გრიშა და ელენე დარჩიაშვილისა გეგელაშვილები მართა სტეფანეს ასული დათეშვილისა, რაქვინი, კოჩია, ელისაბედი, პარმენი, ვანო, გრიშა, თამარა სტეფიკო დათეშვილისა გეგელაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ ძვირფას და დაუვიწყარ პირველთა დედის მეორის მულისა ხოლო უკანასკნელთა მამიდის

ირინე ბესარიონ დათეშვილის ასულის გეგელაშვილისა

ქ. სოხუმში 27 დეკემბრისთვის გარდაცვალებულის ჩამოსვენებას და მოუწოდებენ მათ მიცვალებულის დაკრძალვაზე დასასწრებალათ დღეს, სამშაბათს, 1 ნოემბერს, 8 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლ. ოლდენბურგის ქ.

ქრისტინე ბიჭია გეგელაშვილის ასული ზუბენკოს, სარა ბიჭია გეგელაშვილის ასული ქაჯაიასი და ელისაბედ, თადეოზ კანდე ლაკის ასული გეგელაშვილისა შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარი რძლის

ირინე ბესარიონ დათეშვილის ასულის გეგელაშვილისა

გარდაცვალებას. და მოუწოდებენ მათ მიცვალებულის დაკრძალვაზე დასასწრებალათ, დღეს, სამშაბათს 1 ნოემბერს ნაშუადღევს 3 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ოლდენბურგის ქუჩაზე.

ავთოგოფთა საყურადღებო.

ვისაც თვალუბა სტეფანე, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართოს ქ. ქუთაისში, თეთრ სიდ გაღმა გოძიჭლის კარებთან ჭეიშვილის სასაღამო, **ინანილ კახიას**, რომელმაც მე მომარჩინა **უაპარატიო**.

3-1 პატრივისცემით **ბრიზა აბულაძე**.

გზ. „სამშობლო“ კანტორა

აცხადებს ხელის მოგებითა საყურადღებო, რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიათ არა აქვს ხვედრი ფული შემოტანილი 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

ექიმმა ალექსანდრე მახვილმა ძე **მასაშისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**
 ანსათიანთა განსაზღვრულ მუდგობის მიღება (ქაფურ, ვენერაულ და შინაგან) ავთოგოფთისა ყოველდღე დღის 11-2 საათამდე, საღამოს 6-8 საათამდე ზუსტებისა და პალპაციის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი მ. ბარბაქაძე ქალაქის საავთომედიკალური ორდინატორი. იღებს კანის, ვენერული და სიფილისის ავადმყოფებს. (სისხლში შესწამა „606“ და „914“) დალით 12¹/₂-2 საათ. საღამოს 6-8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

პეპესაძე მოწოდებენ ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელი. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე ივანოვის ქ. სახ. ვ. ქილაძის შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

გამოცდილი მასწავლებელი
 სტუდენტი ამხადებს მოწოდებენ ყველა სასწავლებლისათვის სელმისაწვდომ ფასებით.

მისამართი: გზ. „სამშობლო“ რედ

აზოვ-ლონის კომერსიული ბანკის ქუთაისის განყოფილება

პატრივისცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ბანკის განყოფილებაში უკვე გაიმართა ხელის მოწერა სახელმწიფო სამხედრო მოკლე ვაღიან 5¹/₂ პროც. 1916 წლის მეორე გამოცემის სესხზე.

ასი მ.-95 განათათ.

განყოფილება ღია არის საზოგადოებისათვის დღის 8¹/₂ საათიდან 2 საათამდე, გარდა კვირუქმეებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შესაძლებელია ამ სესხისა შეიძლება განყოფილებაში.

ელექტრო „რადიუმ“ თებური

31 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა **მარგარიტა გოგე** (ტრავინაბა).

ღრმის ნაწილად ცნობილ ალექსანდრე დიუმის რომანის მიხედვით. მარგარიტას თამაშობს ეკრანის დელოვლი გამოჩენილი ლეონი ქლი და მსახიობი ფრანკესკა ბერტინი, არმონ დიუვალს-ჰუსტავ სერენა.
 1, მარგარიტა გოგე, 2, ძლიერი გრძობა, 3, ქვიციან მომორბეული, 4, მამის ვედრება, 5, გაუგებარი მსხვერპლი, 6, ცოდვის მონანიება.
 სუასესუას დასწყისი 6, 8 და 10 საათზე.

ელექტრო „ამპირ“ თებური

31 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა **მრეხიანი გოგონისა** მიმდინარე ამბებიდან

მწვანე ობობა.

ქნო ღრმა 5 ნაწილად მ. რუტის, ფრანკესკა ბერტონის ნ. წერეთლისა და ხალოვის მონაწილეობით.

სიუვარულის ციებ-ცხელება

ქუთაისის პირველი უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

კედეგოვიუს კურსეზი

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებინ ავრთვე **ქალაქი**, რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულეს მიეცემა **მონაგობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემა სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და სპირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დღის 9 საათიდან-ნაშუადღევს 2 საათზე.

მსოფლიო ომი. დეკემბერი

(მეტროგადის დეკემბრის საკენტოსაცან)

პარეობა აღვადგინეთ. ტყიან კარბატებში სოფ. დუშმონიდან სამხრეთით 4 ვერსის მანძილზე შემოუტია, ჩვენ ჯარს, მავრამ მოვიგერიეთ. რატომოვოს დასავლეთით ყუმბარის ნატებით მოკლულ იქნა პოლკის მამაცი უფროსი პოლკოვნიკი ვეტლანსკი. ღორნა ვატრის სამხრეთით ბლობორისა, ხოლო და ტოლიერის მიდამოებში მოწინააღმდეგის იერიშები სროლით მოვიგერიეთ.

პატრონაგოი. 30 ოქტომბერი. ლიპიცა დოლნაისა და სვისტონოვის მიდამოებში ჩვენ მიერ უკან დაარუნებულ სანგრებს გერმანელები მთელი დღის განმავლობაში მძიმე არტილერიის გამოყენებით უშენდნენ და საღამომდე დიდი ძალებით იერიშები მოჰქონდა. ამ ალაგებში მკაცრი ბრძოლა მოხდა და მოწინააღმდეგე კვლავ ხელთ ივლო ნახევრად დანგრეული სანგრების ნაწილი. დანარჩენ ასპარეზზე სროლა და მხვერვაების მოქმედება. ღორნავატრის სამხრეთით სოფ ხოლოსი და ტოლიერის მიდამოებში მტერს უშედეგოდ იერიშები კვლავ მოაქვს. აღმაშენებლის სამხრეთით ჩვენ ორი სიმაღლე ავიღეთ; აქ ჩვენ ხელთ ვივადეთ ტყვეთ 3 აფიცერი და 205 ჯარის კაცი.

კავაპისის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია. **პარიზი.** 29 ოქტომბერი. შუა დღის ოფიციალი. სომხის ჩრდილოეთით ლიბესა და სისაზელის მიდამოებში საკმაოდ ძლიერი საარტილერიო ბრძოლები ხდება. სომხის სამხრეთით გერმანელებმა ფრანგთა პოზიციების წინააღმდეგ დენიკურით ძლიერი იერიში მიიტანეს ცეცხლის წამკიდებელ სიხის შემწეობით; იერიში სროლით მოვიგერიეთ; გერმანელები დიდ დაზარალებულ და ჩვენ პოზიციები შევიწარმნეთ; დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მოხდა.

მფრინავთა მოქმედება 26 ოქტომბერს ფრანგებმა სომხზე გერმანელთა სამი საფრენი ჩამოაგდეს ძირს; ორი საფრენი-ლიეტენანტ გენერალმა ენის სამხრეთით და ოკურთან; ეს მე-21 აპარატია ამ მფრინავის მიერ ჩამოაგდებული. ფრანგებმა ორი საფრენი კიდევ ჩამოაგდეს; ერთი შემანში ობესიოვის ჩრდილოეთით, მეორე ლორენში გრენერსის ტყის სამხრეთით, აქ აპარტი დაიწვა. 28 ოქტომბერს სომხზე ფრანგთა საჰაერო ესკადრებმა 2205 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩამოყარეს გერმანელების რკინის გზის სადგურებში, სამხედრო მანკებში და საფრენთა ბანაკებში. ერთი ფრანგი მფრინავი სარეზზე გადავინდა ნეპრიზისა და სტრასბურის შუა და რ ყუმბარა ჩამოაგდო ოფენბურგში, რომელიც ძალიან დაზარდა. 29 ოქტომბერის ღამეს გამეს, სენვატესა, ტერმინისა, და ნელეს სადგურებზე ფრანგთა საჰაერო ყუმბარები ჩამოყარეს. სომხზე დიუვის პაროდრომის, ფრანკატის ანგარებს და პოდობახისა და სტონდავეს მდინის ვადასანობს ქურებს, ამ მოქმედებამ დიდი ზარალი მიაცენა. რამდენიმე აფეთქება მოხდა და ბევრ ალაგას ცეცხლი გაჩნდა. 29 ოქტომბერს გერმანელმა მფრინავებმა ფრანგთა ქალაქების მთელ რიგს, ყუმბარები დაუშინეს; ნანსისა და ლიუნევილიში მეორედ ჩამოყარეს ყუმბარები, მავრადანაკლის და ზარალი არავითარი არ მოუყენებიათ იმავე დღეს გერმანელებმა ყუმბარები ჩამოყარეს ავრთვე დაუცველ ქალ. ამინში. სადაც მოკლულ იქნა 27 მოქალაქე.

რუმინის ასპარეზი.

პატრონაგოი. 29 ოქტომბერი. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. რანსილვანია მდ. არგისის ველზე მოწინააღმდეგე

ომის ღლიური.

აღმოსავლეთის ასპარაზი. სვისტოლნიკთან გერმანელებსა და ავსტრიელებს იერიში მიჰაქვთ. დორნაგატრასთან გერმანელებმა რამდენიმე სანგარი ხელი იგდეს.

ჰამბურგის ასპარაზი. მდგომარეობა უცვლელია.

დასავლეთის ასპარაზი. საყურადღებო არაფერი მომხდარა. პაერში ბრძოლა გაძლიერდა.

იტალიის ასპარაზი. წვრილი ბრძოლებია.

რუმინიის ასპარაზი. დობრუჯაში რუსები წინ იწევენ. ტრანსილვანიაში ბრძოლებია.

ბალკანეთის ასპარაზი. მღ. წინაზე სერბიელებმა ბულგარელებს უკან დაახვეწეს.

რამდენიმე დაუტყრეს. არ აცხადებენ, თუ ვინ იწინააღმდეგობას უწევს. მდგომარეობა რამდენიმე მსხვერპლით.

ახალი სესხი.

ახლანდელმა ომმა თავისი შედეგებით ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. და რას გვიჩვენებს მომავალში, ამის საფუძვლით გათვალისწინება არავის არ შეუძლია. ეს ასეა, მაგრამ არის ისეთი საგანი, რომლის გაცნობა საჭიროა ყოველი მოქალაქისათვის. ეს საგანი ყოველი შეგნებული ადამიანისაგან მოითხოვს სათანადო დღესასწაულს და ანგარიშის გაწევას. ეს არის ფინანსური საკითხი სახელმწიფოს. ახლანდელ ომის ბედის გააღწევად მართა ტენიკის და სამხედრო ორგანიზაციის საქმე რადია. ამით თავისთავად უჭირავთ დიდი ადგილი, მაგრამ უაღრესი და ვადამკრები მნიშვნელობა ფინანსებს ეკუთვნის. წინდაწინვე შეიძლება იწინასწარმეტყველოს ვაჭარს, რომ ამ მსოფლიო ომში გაიმარჯვებს ის სახელმწიფო, რომელსაც სამხედრო ტენიკასა და ორგანიზაციასთან ერთად სათანადოა აქვს მოწესრიგებული ფინანსების საქმე.

ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ სოჭა უძლიერესმა კორსიკელმა გმირმა ნაბოლეონ პირველმა, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა, ფული, ფული და კიდევ ფული.

ახლანდელმა ომმა აუარებელი მსხვერპლი მოითხოვა მეომარ სახელმწიფოთაგან საზოგადოთ. რუსეთი არამც თუ გამოიქალის შეადგენს ამ მხრივ, არამედ მას უჭირავს ერთი უდიდესი ადგილი; ეს იმიტომ რომ სივრცით და მცხოვრებთა რიცხვით იგი სკარბობს თითოულათ ყველას, მის ყოველი მხრით ებრძვიან. აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ომი რომ კიდევ ერთ წელიწადს და ცოტა მეტ ხანს გაგრძელდეს, სახელმწიფოს ფული აღაწევს ორმოც მილიარდამდე. მაგრამ საქმე მართა ვალის რაოდენობაშიც არაა.

თანამედროვე ომმა ჩვენს სახელმწიფოს წამოუყენა უფრო მძიმე საკითხი; თუ სურს მან ზავის შემდეგ აღრე განიკურნოს ომისაგან მიყენებული ჰრილობები, განავითაროს თავის საწარმოვო ძალები და აღორძინდეს, აუცილებლათ საჭიროა დამარცხების თავიდან აცილება, რომ სხვა აუარსებელ უბედურებასთან ერთად თავს არ დაატყდეს მას სამხედრო კონტრიბუციის გადახდა.

მაშასადამე სახელმწიფომ უნდა მოიკრიბოს ყოველგვარი ძალდონე, რომ გაუმალავდეს მტერს. ამისთვის საჭიროა იყო და არის ფინანსები, რისთვისაც მთავრობამ მიმართა საგარეო ტ საშინაო სესხებს. ჩვენ არ შეგნებდებით საგარეო სესხის უარსაყოფელ მხარზე, რადგან მკითხველმა უჩვენოთა კარგათ იცის, რომ იგი ასეულ მილიონობით ოქროს მანეთს იტაცებს და გააქვს სახელმწიფოს გარეთ. ამიტომაცაა, რომ სახელმწიფოს შესვეურები უზიარტესობას აძლევენ შინაურ სესხს, რომლის სარგებელიც შინაგ რჩება.

დღეიდან, პირველი ნოემბრიდან იწყება ხელის მოწერა რუსეთის საშინაო სამხედრო სამ მილიარდ-მანეთთან სესხზე ასეთი დიდი საშინაო სესხი ჯერ არ ახსოვს რუსეთს. მართალია ომმა მიგვიჩვენა დიდ ფინანსურ ოპერაციებს, მაგრამ ასეთი სესხის განაღდება შინაური ძალდონით მოითხოვს დიდ საცდელს. ამ სესხის განაღდებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს, არა იმიტომ რომ მათე იყოს დამოუკიდებელი ომის წარმოება; არა, ამისათვის არის კიდევ სხვა საშუალება. არ განაღდება სესხი, მთავრობა გამოუშვებს

იმავ; რაოდენობას ე. ი. სამი მილიარდის ქალაქის ფულს, მორჩადა გათავდა. ომის საწარმოებელ თანხას ამ გზით გაიჩენს იგი.

მაგრამ საქმე იმაშია რომ სახელმწიფოს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს რომ ქალაქის ფული რაოდენობა არ იზრდებოდეს ასეთი საშინელი პროგრესით. ომის დაწყებამდე ხმარებაში იყო მილიარდ ნახევარი ქალაქის ფული. ახლა იგი უდრის ათ მილიარდ მანეთს და თუ ახალი სესხი არ განაღდება და სამხედრო ხარჯების დასიფარავათ ვეღავ სამი მილიარდი ქალაქი გამოუშვებს და ასე გაგრძელდა ომის გათავებამდე, რომელსაც ჯერ ბოლო არ უჩანს, რა მოჰყვება ამას?

ქალაქის ფულების ბეჭედა ადვილია, მაგრამ თუ რა მოჰყვება ამას და კიდევ რა მოჰყვება მომავალში ყველა ჩვენთაგანი უნდა ჰხედავდეს. ვერცხლისა და სპილენძის ფული გაქვრა. ოქროსი ხომ სულ აღარა სჩანს. ქალაქის ფულის ღირებულება ძალზე დაეცა. აღბეჭიკეობა და შეურნეობა აფორიაქდა. ყოველი ადამიანი სიძვირეზე ლაპარაკობს. რომ გაძვირდა ყველაფერი ამას ყველა ხედავს, ხოლო საჭიროა მიზნეიც ეიცოდეთ. მიზეზი კი ის არის, რომ რადგან მთავრობამ სამხედრო ხარჯების დასაფარავად ერთი ხუთად მეტი ქალაქის ფული გამოუშვა და წაწარმოების, საქონლის რაოდენობას თუ დააკლდა, თორემ არასფერი მოჰმატებია არა, მისი ფასიც ერთი ხუთად გადიდა.

რომ უფრო ნათელი გყოთ თუ რა განსხვავებაა სამხედრო ხარჯების საშინაო სესხითა და ახალ ახალი ქალაქის ფულების გამოშვებით დაფარვაში, ვიტყვი: პირველ შემთხვევაში ფულის საერთო რაოდენობა სახელმწიფოში არ მატულობს, რის გამოც საქონლის ღირებულების მიზანდას იძენათ არ სწევს ზევით, ხოლო მეორე შემთხვევაში ფულის რაოდენობა საშინაო იზრდება, და საქონლის რაოდენობა იგივე რჩება.

აი რატომაც საჭიროა რომ საზღვარი დაედვას სამხედრო საჭიროებისათვის ქალაქის ფულის ბეჭედს და გამოშვებას. ამას გრძნობს მთავრობაც და ხედავს რა იგი, რომ ომიანობამ დიდძალი ფული დაატარა და მოაგროვა მწარმოებელთა ხელში, იმედი აქვს დღეს დაწყებული სესხის განაღდებას.

მთავრობა ამ საქმის დასაგვირგვინებლათ იშველიებს გუბერნატორებს, წერილი კრედიტის ინსპექტორებს, საეროო უფროსებს თავდაზნაურთა წინამძღოლებს და სხ. რომელნიც ისედაც დატვირთულნი არიან თავიანთი საქმეებით.

ამ საქმისათვის კი საჭიროა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანება, ხალხის დაინტერესება. ამ საქმის სათავეში უნდა ჩადგინდეს საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთაც უნდა ვააცნონ საზოგადოებას სესხის მიზანი და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს შინაური ცხოვრებისათვის. დეე ყოველმა მოქალაქემ იცოდეს, რომ შინაური სესხის განაღდებას უზიარტესი და უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, ვიდრე ახალ ახალი ქალაქის ფულის გამოშვებას, რაიცა უფრო გაართულებს და ააფორიაქებს ჩვენს ისედაც გამოუწვეულ და გაძნეულ ბულ ცხოვრებას.

ა. კლარკეული

ქართული პრესა

გაზ. „საქართველო“ მე 240 №ში დაბეჭდილია ბ-ნ გრ. ვეშაბელის საგულო-სნმო წერილი იგი ეხება რუსეთის ახლანდელ ფინანსურ მდგომარეობას და რკინის გზათა შენების საკითხს:

პროფ. მანუილოვის ანგარიშით, ომის შემდეგ რუსეთს მოუხდება ყოველ წლივ 2 მილიარდის, ესე იგი, ორი ათას მილიონის გადახდა მხოლოდ სარგებლის სახით, თავისი გასტუმრების რომ თავი დაუანებეთ. მაშასადამე რუსეთის სახელმწიფომ ორი/მილიარდით უნდა გაადლოს ომის წინანდელი ხარჯით-აორიკევა ბიუჯეტი რომ პატიოსნად შესრულოს თავისი ვალდებულებანი; ომისდის რუსეთის ბიუჯეტი უდრდა 3 მილიარდ ნახევარ მანათს. ასე რომ ომის შემდეგ-სახელმწიფოს შემოსავალ გასავლის ორი მეტი უნდა იყოს წინანდელზე.

მერმე საიდან? რუსეთს არ შეუძლია ამ 2 მილიარდის შოვნა გადასახადების მომტებით, რადგან გადასახადების ტვირთი ისედაც დამძიმებულია, იმ ნაკლის შესამსებლად, რომელიც გამოიწვია არაყის გაყიდვის აკრძალვამ; ახალი პირდაპირი გადასახადები, დაწესებული შემოსავალზე ჯონებაზე, სულ დიდი, 200 მილიონს თუ შემოიტანს; არაპირდაპირი გადასახადები კი უკვე საკმაოდ აწვეულია.

მომავალ ხარჯით გაზრდას ვერ აუვა ვერც სახელმწიფო მონობლიათა და წესება: ჩანს, ახანთისა, ნავთისა და სხვა ასეთ საქონელზე, რადგან საქონლებით ვაჭრობის გადასვლა სახელმწიფოს ხელში ვერ გაადიდებს უწინდელ შემოსავალს.

რასაკვირველია, რუსეთს შეუძლია ფულის შოვნა ნედლი მასალის ვატანის გაძლიერებით; მაგრამ ეს გაძლიერებული ექსპორტი პირდაპირი იაფი „რასპრადავა“ იქნება რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრისა; იგი მისცემს უცხოეთს იმ საქონელს, რომელიც თვით რუსეთის მეურნეობას სჭირია.

არის კიდევ ერთი საშუალება. ვალის და სარგებლის დასაფარავად—ახალი ვალის აღება, მოკლევადიანი ვალდებულებების გრძელვადიანად გადააქცივენ და სარგებელს კი, როგორც გასტუმრების მაგიერ, ვალს შიწერავენ.—მაგრამ ეს ხომ მოვალეს სიკატრეს მოასწავებს...

ერთად ერთი ხსნა—სახლობო მეურნეობის აღწევა და სახელმწიფო წარბოების განვითარება; რუსეთი მხოლოდ მაშინ მოახერხებს ორ მილიარდიან სარგებლის გასტუმრებას, თუ იგი ყოველწლივ მეტი ღირებულების საქონელს გააკეთებს, ვიდრე აქამდის აკეთებდა, თუ ხალხის ხელში მყოფი სიმდიდრე ერთი ორად გაიზრდება; თუ საწარმოო ძალები საკმაოდ განვითარდება, მაშინ რუსეთი იაფ ნედლ მასალას კი არ გაიტანს საზღვარ გარედ, არამედ თვითონ დაამუშავებს მას და ამგვარად აღარ გადინდის იმ ბეგარას, რომელსაც მას ადებს უცხოეთი ნედლის გადაკეთებისათვის; ზედმეტად დამუდებულ საქონელს თვით რუსეთი გაიტანს გარედ და ამგვარად გადიდებული ექსპორტით გამოასწორებს თავის საგაქვრა და გარდასახად ბალანსს, გახდის მას აქტიურად მით, რომ უფრო მეტს გააკიდის, ვიდრე იყიდის და განაყოფში მიღებულ ოქროთი დაახურდავებს იმ 10 მილიარდის ღირებულ ქალაქის ფულს, რომელიც ამ ჟამად აგრე ამიერებს ცხოვრებას...

მაგრამ მრწველობა ვაჭრობის ასეთი აღწევა წარმოუდგენელია მრავალ ათას ვერსად ახალ რკინის გზათა აშენებნებას.

რკინის გზათა საკითხი მართა სტრატეგიული კი არ არის, იგი იმავე დროს მიულ ეროვნულ მეურნეობის საკითხია; რკინის გზის გაყვანა თავის თავად ანაყოფიერებს იმ ადგილის მეურნეობას, სადაც იგი ვადის; ანაყოფიერებს როგორც სოფლის მეურნეობას, მიწათ მოქმედებას, ისე მრეწველობის სხვა და სხვა დარგს; რკინის გზის გაყვანა ადლებს ისეთ ნედლ მასალის და სათბომბის გადატან-გადმოტანას, რომელიც საჭიროა მრეწველობისათვის, მაგალითად, ხე-ტყისა, ქვა ნახშირისა, მადნეულობისა და სხვა; რკინის გზა ადვიტებს ბუნებრივად მდიდარ, მაგრამ შორეულ და მივიწყებულ ადგილებს, რკინის გზა უაღვილებს სოფლის მეურნეს, როგორც მსხვილ მემამულეს, ისე გლეხს, თავის ნაწარმოების ვატანას ან მსოფლიო ბაზარზე, ან და სახელოწიფოს შიგნით მომხმარებელ ადგილებში.

მეცნიერულად ნაანგარიშევიც არის ის. სარგებლობა, რკინის გზას ეროვნულ მეურნეობისათვის რომ მოაქვს; ლიებმანმა იანგარიშა ერთის მხრით რკინის გზის საერთო შემოსავლის ზრდა და მეორეს მხრით—ის შედეგი, მას რომ თანს სდევს: ფრახტის გაიავება, წარმოების გადიდება, დროის დაზოგვა, მიწის ფასის აწევა, გზების მოელისათვის საჭირო ხარჯის შემცირება, მისვლა მოსელის საზოგადო

ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტი და საერთო ეროვნულ წარმოების გადიდება.— და გამოარკვეათ თუ რა უნდა იქნას სარგებლობის განვითარებისათვის იგი რამდენიც ერთი მანათი შეუდის რკინის გზას, იმდენი სამი მანათი ემატება ეროვნულ მეურნეობას...

თუ ამ ანგარიშს დავეყრდნობით, შეგვიძლია გამოვარკვიოთ, რამდენი ვერსია საჭირო ახალი რკინის გზისა, რომ რუსეთმა ახალი სახელმწიფო ვალის სარგებელი გაისტუმროს: 2 მილიარდის ეროვნული სიმდიდრე რომ შეიქმნას, საჭიროა რკინის გზათა წლიური შემოსავალი 600 მილიონით რომ გაიზარდოს; რკინის გზის თითო ვერსს წლიურათ 10,000 მანეთი შემოაქვს, მაშასადამე, რკინის გზათა ახალი ქსელი უნდა იყოს 60,000 ვერსის სიგრძე.

როგორც მთავრობის მიერ დაწესებული საგანგებო საბჭო, ეს კერძო მკვლევარი, მაგალითად, ინჟინერი იურენიევი, თანახმანი არიან, რომ რუსეთს ესაჭიროება სწორედ ეს 60,000 ვერსი; ან საარაკო სისწრაფით ასეთის მდევურ რკინის ქსელის შექმნა ან ეკონომიური მონობა და დალუბვა... მაგრამ თქმა ხომ ადვილია, ვიდრე აღსრულება... 60,000 ვერსი რომ გაიყვანონ, ამ 7-8 წლის განშავლობაში ყოველ წლივ 8,000 ვერსი უნდა აშენონ; ათას ვერსს 8 მილიონი ფული მოითხოვს და 1000 ინჟინერი სჭირდება... აქამდის რუსეთი ძლივს ახერხებდა წლიურად 1500 ვერსის გაყვანას. და აწი კი რვა ამდენის გაკეთება ეკისრება... ამიტომ როგორც ბარისოვის საბჭო, ისე სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების კომისია დიდ ფაქ-ფუტში არიან: უნდათ ახლავე გამოარკვიონ მაქსიმუმი იმ პირობათა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ამ დიადი ამოცანას გარდაწყვეტა.

რკინის გზების გაყვანის დროს რუსეთის მთავრობა არასოდეს არ ხელმძღვანელობდა მცხოვრებთა ეკონომიური ინტერესის თვალსაზრისით. ამიტომ რუსეთის ზოგიერთ რკინისგზების შემოსავალს გასავალი სჭარბობს და მოგების მაგიერ ზარალი მოაქვს მთავრობა რკინის გზების საკითხში ყოველთვის სტრატეგიული მიზნით ხელმძღვანელობდა. ახლანდელმ გზათა სამინისტრომ შეიგნო ასეთი ცალმხრიობა, შეიგნო რომ სახელმწიფოს საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის საჭიროა ტრანზიტის გაადვილება, ეს კი მოითხოვს სავაჭრო სამრეწველო, სასოფლო მეურნეობის ცენტრები და მჭიდროთ დასახლებული მხარეები დაუწყევირდეს ერთმანეთს რკინისგზებით. აი ამ გზას დასდგამია ახლანდელი გზათა სამინისტრო.

მაგრამ რუსეთის უმაღლესი როლი ახლა საოლქო სამხედრო სამრეწველო კომიტეტების კომისიის უკისია. მისი ხელმძღვანელი ინჟინერი ბუბლიკოვი ილაშქრებს სამინისტროს მიერ შედგენულ გეგმის წინააღმდეგ და ითხოვს ადგილობრივი ინტერესი საერთო სახელმწიფოს ინტერესს დაუშორილოს. მისი აზრით არაა საჭირო ახალი ლიანდაგების დაგება არამედ საკმაო ძველი სახანო გზების გაკეთება ამერიკულ ყაიდაზე, ესე იგი მეორე და მესამე გზის გაყვანა არსებულ ნიადაგზეო.

და პატივცემული გრ. ვეშაბელი დასძენს, რომ თუ მართლა ინჟინერ ბუბლიკოვის თვალსაზრისმა გაიმარჯვა, მოშავალი რკინისგზები ვერასოდეს ვერ დაფარავს იმ ორ მილიარდ სარგებელს ხარჯს-რუსეთს რომ კისრზე აწევსო.

ჩვენ კი ვიტყვი, რომ სახელმწიფოს ძველი ყაიდის მსგებურები ბუბლიკოვი და მსგავსნი მათნი რუსეთს ვერასოდეს ვერ გამოიყვანენ იმ ჯულგედან, რომელსაც ის მიადგა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ ისეთი მაშტაბით რკინის გზების გაკეთებას, როგორის გეგმებიც გზათა სამინისტროსა და სამხედრო კომიტეტების კომისიებში ითხზებდა, ახლო ხანაში ვერ განხორციელდება, რადგან ამას წინ ელოდება ფინანსებისა და მუშახელის კრიზისი.

